# ოჯახის მხარდაჭერა და ჯანმრთელობის კონტროლის ლოკუსი, როგორც ტიპი 1 დიაბეტის მართვის პრედიქტორები

ანი ბაწელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ანი ბაწელაშვილი

18 ივნისი, 2025

# აბსტრაქტი


წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჯანმრთელობის კონტროლის ლოკუსისა და ოჯახის მხარდაჭერის გავლენის შესწავლა ტიპი 1 დიაბეტის მართვაზე. ლიტერატურაში არსებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა სამი ჰიპოთეზა: (1) ოჯახის მხარდაჭერა ტიპი 1 დიაბეტის მართვის დადებითი პრედიქტორია; (2) ჯანმრთელობის კონტროლის შინაგანი ლოკუსი ტიპი 1 დიაბეტის მართვის დადებითი პრედიქტორია; და (3) ჯანმრთელობის კონტროლის გარეგანი ლოკუსი ტიპი 1 დიაბეტის მართვის უარყოფითი პრედიქტორია. კვლევა იყო რაოდენობრივი, მონაცემები შეგროვდა 60 ტიპი 1 დიაბეტის მქონე პაციენტისგან, რომლებიც მოძიებულ იქნენ სოციალური მედიის საშუალებით ხელმისაწვდომობის მეთოდით.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის მხარდაჭერა იყო ტიპი 1 დიაბეტის ეფექტური მართვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორი ($\beta = .660$, $p < .001$), რაც ადასტურებს პირველ ჰიპოთეზას. მეორე და მესამე ჰიპოთეზები — ჯანმრთელობის კონტროლის შინაგანი და გარეგანი ლოკუსის გავლენა ტიპი 1 დიაბეტის მართვაზე — ტენდენციის დონეზე დადებითი/უარყოფითი აღმოჩნდა, თუმცა სტატისტიკურად არ იყო მნიშვნელოვანი.

კვლევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოჯახური გარემოს გადამწყვეტ როლს ქრონიკული დაავადებების მართვაში და აღნიშნავს, რომ პიროვნული მიგნებები, როგორიცაა ჯანმრთელობის კონტროლის ლოკუსი, შესაძლოა უფრო კომპლექსურად მოქმედებდეს დიაბეტის მართვაზე და საჭიროებს სამომავლო კვლევებს უფრო ფართო შერჩევაზე.



**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ტიპი 1 დიაბეტი, ოჯახის მხარდაჭერა, ჯანმრთელობის კონტროლის ლოკუსი.

# Abstract

The aim of the present study was to examine the influence of health locus of control and family support on type 1 diabetes management. Based on existing literature, three hypotheses were formulated: (1) family support is a positive predictor of type 1 diabetes management; (2) internal health locus of control is a positive predictor of type 1 diabetes management; and (3) external health locus of control is a negative predictor of type 1 diabetes management. This was a quantitative study, and data were collected from 60 individuals with type 1 diabetes recruited through social media using convenience and snowball sampling methods.

The results indicated that family support was a statistically significant positive predictor of effective type 1 diabetes management ($\beta = .660$, $p < .001$), confirming the first hypothesis. The second and third hypotheses — regarding the impact of internal and external health locus of control — showed positive/negative tendencies, respectively, but were not statistically significant.

This study highlights once again the crucial role of the family environment in chronic disease management and suggests that personal constructs such as health locus of control may have a more complex influence on diabetes self-management and require further investigation with a larger sample.



**Keywords:** Type 1 diabetes, family support, health locus of control.

# მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული ხელმძღვანელობის, ღირებული რეკომენდაციებისა და თანადგომისთვის, მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს. მისი დახმარება გადამწყვეტი იყო ნაშრომის კონცეპტუალური და პრაქტიკული მიმართულებების განსაზღვრაში.

ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თითოეულ რესპონდენტს, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი და დრო დაუთმეს გამოკითხვაში მონაწილეობას. მათი ჩართულობა და გულწრფელი პასუხები უმნიშვნელოვანესი იყო კვლევის რეალიზებისთვის.